



ქალთა

ხმების

გაქლივრება

კონფლიქტის

შპანსფორმაციის

პროცესში

2016





ქალთა მიღბომაები

გვ.
2

დაფუძნებულია მისწრაფებაზე -
სამყარო გახდეს უფრო

ჰარმონიული და სამართლიანი.

გვ. კრეატივის დღე
5

საინტერესო და

ემოციური იყო.

გვ.
11

კონფლიქტის სუნი ყველა უბანს ეტყობა.
ან იქნებ ჩვენ, ჩამოსულებს, გვაქვს
ეს ბრძნობა გაძლიერებული.

გვ. იმედს ვიტოვებ, ოდესმე ისრავლი
16 და ჩვენც ასე გავიმარჯვებთ.

ქალთა ხმების გაკლიშვას კონფლიქტის უზარსფოქმასიის პროსესში

2015 წლის მარტიდან 2016 წლის თებერვლის ჩათ-
ვლით ფონდმა „სოხუმმა“ აფხაზეთის ქალთა
ასოციაციასთან ერთად განახორციელა პროექტი
„ქალთა ხმების გაძლიერება კონფლიქტის ტრან-
სფორმაციის პროცესში“.

მუშაობა მიმდინარეობდა შვეიცარიის საგარეო
საქმეთა ფედერალური დეპარტამენტის მხარდა-
ჭერით.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი
აქტივობები:

- ჩატარდა კვლევა
- გაიმართა ოთხდღიანი ტრენინგი ქალებისა
და გოგონებისათვის
- გამოიცა ბროშურა კვლევის მასალების სა-
ფუძველზე
- შეიქმნა ვიდეოსიუჟეტები პროექტის შესახებ
და დოკუმენტური ფილმი
- გაიმართა პროექტის მონაწილეთა ერთობ-
ლივი შეხვედრები თელ-ავივსა და დუბაიში
- ჩატარდა მრგვალი მაგიდა
- გამოიცა საინფორმაციო ბიულეტენი

ამ ბიულეტენში შეიკრიბა პროექტის მონაწილეთა
შთაბეჭდილებები და მოსაზრებები.

მათი გაცნობით მკითხველი ნათლად წარმოიდ-
გენს, როგორ მიმდინარეობდა პროექტი, რა საინ-
ტერესო ღონისძიებები ტარდებოდა და, რაც მთა-
ვარია, როგორია შედეგები, რა გავლენა მოახდინა
პროექტმა მონაწილეებზე.



კულტურულ-
ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმი“

მისამართი:

ქ. ქუთაისი,
მგალობლიშვილის 6
ტელ: 27 29 02
ფაქსი: 27 13 68

ელფოსტა:

womansokhumi@gmail.com

ვებგვერდი: www.fsokhumi.ge

პროექტის დირექტორი
ალლა გამახარია


პროექტის კოორდინატორი
მერი ბელაშვილი

რედაქტორი
ლალი შინგალია

დიზაინი

ლია კოსტავა

დაიბეჭდა შვეიცარიის საგარეო
საქმეთა ფედერალური
დეპარტამენტის მხარდაჭერით



ჟურნალში გამოთქმული
მოსაზრებები, შესაძლოა,
არ გამოხატავდეს დონორი
ორგანიზაციის მოსაზრებებს

ქალაქი - მუნიციპალიტეტის განვითარების ერთობლივი პროექტის ფასი

ალლა გამახარია

ფონდი „სოხუმის“ თავმჯდომარე, პროექტის დირექტორი

ბოლო წლებში მსოფლიოს სულ უფრო მეტად ესმის ქალთა განსაკუთრებული შესაძლებლობების მნიშვნელობა მშვიდობის განმტკიცებისა და პოსტკონფლიქტური აღდგენის საქმეში, მაგრამ ეს სერიოზული სამშვიდობო პოტენციალი მაინც სრულად არ არის გამოყენებული.

თუმცა ქალები ყველაზე აქტიური მონაწილეები არიან სახალხო დიპლომატიის ფარგლებში ჩატარებულ ქართულ-აფხაზურ შეხვედრებზე, მათი ადგილი ჯერაც არ მოიძებნა ოფიციალურ მოლაპარაკებებზე და ჟენევის კონსულტაციებზეც არ ისმის ქალთა ხმა.

ეს უსამართლობაა, რადგან, როგორც მსოფლიო გამოცდილება მონიშნავს, ქალთა მიდგომები დაფუძნებულია მისწრაფებაზე - სამყარო გახდეს უფრო ჰარმონიული და სამართლიანი. ქალთა მხრიდან უსაფრთხოების აღქმა ბევრად უფრო ყოვლისმომცველია, ვიდრე მამაკაცებისა. ამიტომაც სამშვიდობო შეთანხმებები, რომელთა შემუშავებასა და იმპლემენტაციაშიც ქალები მონაწილეობენ, უფრო სიცოცხლისუნარიანია და მიმართულია რიგითი მოქალაქეების ყოველდღიური საჭიროებებისკენ.

ფონდმა „სოხუმმა“ და აფხაზეთის ქალთა ასოციაციამ უკვე შეიძინეს საკმაოდ ღირებული გამოცდილება სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ ქალთა შორის დიალოგის წარმართვის კუთხით. განხორციელდა მთელი რიგი ერთობლივი პროექტებისა, რომლებიც ეძღვნებოდა ქალთა გაძლიერებას საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით, ადამიანური უსაფრთხოების, გენდერული და სამშვიდობო საკითხების წამოწვევით. გაიმართა ერთობლივი სასწავლო ვი-

ზიტები ქვეყნებში, რომელთაც შეიარაღებული კონფლიქტები გადაიტანეს. ამ ვიზიტების ფასი უდავოა: ისინი გვეხმარება, უკეთ გავიგოთ „ჩვენი“ კონფლიქტის დინამიკა და მისი ტრანსფორმაციის პერსპექტივები, ამასთანავე ეს არის უსაფრთხო სივრცე ორივე მხარის წარმომადგენელთა ურთიერთობისა და დისკუსიებისთვის.

პროექტის განხორციელების ერთ-ერთი ნაწილია - გავლენა საზოგადოებრივ აზრზე იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს მოსაზრება ქალის მნიშვნელოვანი წვლილის შესახებ ხანგრძლივი და სამართლიანი მშვიდობის შენებაში. ამ მიზნით აუცილებელია ორივე მხარის საზოგადოებებში გავრცელდეს ინფორმაცია ქალთა დიპლომატიის წარმატებული გამოცდილების შესახებ. ცნობილია, რომ მოლაპარაკებებში მონაწილეობისას, ან სამშვიდობო შეთანხმების მომზადებისას, ქალების უპირველესი საფიქრალია თავიანთი საზოგადოებების მომავალი და ის, რა გავლენას მოახდენს სამშვიდობო შეთანხმება მათ შვილებზე. მამაკაცები კი უფრო ხშირად იმაზე ფიქრობენ, როგორ შეინარჩუნონ ძალაუფლება და თანამდებობა.

ამიტომაც ასე მნიშვნელოვანი ქალთა მშვიდობისმყოფელობის იდეის მხარდაჭერა.

პროექტის პირველი სტრატეგიაა - ქალთა პოტენციალის გაძლიერება კონფლიქტის ორივე მხარეს მათ მოსამზადებლად უფრო აქტიური ჩართვისთვის მშვიდობის მშენებლობის პროცესში. ამ სტრატეგიის უზრუნველყოფისთვის ჩატარდა ტრენინგი და კვლევა.

მეორე სტრატეგია - უსაფრთხო სივრცის შექმნა კონფლიქტის მხარეების წარმომადგენელი სამოქალაქო აქტივისტი ქალების დიალოგისთვის.

ქალებს, რომელთაც აქვთ სახალხო დიპლომატიის ფარგლებში შეხვედრების გამოცდილება, შეუძლიათ გახდნენ სამშვიდობო ინიციატივების ავტორები და ხელი შეუწყონ ახალი მიდგომების ძიებას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების / ტრანსფორმაციის მიზნით. პროექტის დასკვნით ეტაპზე მოენყო შემაჯამებელი შეხვედრა ფონდი „სოხუმისა“ და აფხაზეთის ქალთა ასოციაციის წარმომადგენლების მონაწილეობით. შეხვედრის დროს გაიმართა ჩატარებული მუშაობის პრეზენტაციები და განხილულ იქნა რეკომენდაციები.

მესამე სტრატეგია - თავიანთი საზოგადოებების ინფორმირება ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ მშვიდობის განმტკიცებისა და პოსტკონფლიქტური აღდგენის საქმეში.

ამ მიზნის მისაღწევად გამოიცა ბროშურა და საინფორმაციო ბიულეტენი, მომზადდა დოკუმენტური ფილმი პროექტის შესახებ. საზოგადოება და ხელისუფლების წარმომადგენლები გაეცნენ პროექტის ფარგლებში გაწეულ მუშაობას. ეს შესაძლებლობას მისცემს ხელისუფლებას და საზოგადოების ფართო წრეებს, ახლებურად შეხედონ ქალებს და მათ როლს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საპროექტო მუშაობა პირდაპირაა მიმართული გენდერული თანასწორობის წახალისებისკენ და ეს ნათლად აისახა მთავარ მიზანში. ერთი მხრივ, მობილიზებული და ლიდერული უნარ-ჩვევებით გაძლიერებული ქალები, რომლებიც მზად არიან, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სამოქალაქო კამპანიებში და, მეორე მხრივ, ქალთა შესაძლებლობების მიმართ საზოგადოების და ხელისუფლების სტრუქტურების შეცვლილი დამოკიდებულება - არის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლის გარანტია.

პროექტში ჩართულნი იყვნენ ქალები, რომლებიც, წლებია, თანამშრომლობენ ფონდ „სოხუმთან“ და აფხაზეთის ქალთა ასოციაციასთან. ამ მიმართულებით ჩვენი სამუშაო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პოზიტიური ცვლილებების მიღწევა მხოლოდ საერთო ძალისხმევითაა შესაძლებელი.

გარღვევა ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის კუთხით შეუძლებელია იმ სტრუქტურების მხარდაჭერის გარეშე, რომელთაც გადამწყვეტი ხმა აქვთ. აქედან გამომდინარე - პროექტის მთავარი ამოცანაა ქალების მხარდაჭერა, მათი მოტივაციის განვითარება, მუშაობა ადგილების საკმარისი რაოდენობისთვის მთავრობაში გადამწყვეტილების მიღების პოზიციებზე, რათა იყოს ყველა სახელმწიფო პროცესზე რადიკალური გავლენის შესაძლებლობა.

დაგეგმილი მოქმედებების განხორციელებამ უზრუნველყო შედეგების მიღწევა მოკლევადიან პერსპექტივაში. ეს არის ღონისძიებების უშუალო პროდუქტი:

უსაფრთხო სივრცის შექმნა კონფლიქტის მხარეების სამოქალაქო აქტივისტი ქალების დიალოგისთვის;

შემუშავებულია ადგილობრივ ხელისუფლებაზე გავლენის ერთობლივი სტრატეგია კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში და მდგრადი მშვიდობის შენების სფეროში ქალთა როლის გაზრდისთვის;

განხილულია ისრაელის გამოცდილების ადაპტაციის შესაძლებლობა;

ერთობლივი ვიზიტის პროცესში შეძენილი ცოდნა, გამოცდილება და უნარ-ჩვევები დაეხმარება ქალებს, გააძლიერონ თავიანთი პოტენციალი, მნიშვნელობა და როლი თავიანთი საზოგადოების მასშტაბით, შეიმუშაონ ხედვა, რომ შემდგომ ადვოკატირება გაუწიონ აქტუალურ საკითხებს ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე;

ქალების ურთიერთობა, მოსაზრებებისა და შთაბეჭდილებების გაზიარება, დისკუსიები - ყოველივე ეს ხელს უწყობს ურთიერთგაგებას კონფლიქტის მხარეების წარმომადგენლებს შორის და ახალი მიდგომების ძებნას;

იდენტიფიცირებულია საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალების უფრო აქტიური მონაწილეობის ბარიერები და შემაფერხებელი ფაქტორები და შემუშავებულია რეკომენდაციები მათ დასაძლევად;

გაიზარდა საზოგადოების ინფორმირების დონე ქალთა მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ კონფლიქტის ტრანსფორმაციის და მდგრადი მშვიდობის შენების პროცესში.

გოგონების „საკუთარი“ მუვილოკიანი კლანუტევი ცრენინგი კრეაციული მიდგომებით

ნინო ჭაბუკიანი

ფონდი „სოხუმის“ ასისტენტი

18 გოგონა შეიკრიბა ქუთაისში, სასტუმრო „იმერში“ დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან (ქუთაისი, წყალტუბო, ხონი, ზუგდიდი, ხობი, გალი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლები განმუხური და აბასთუმანი).

უფრო საინტერესოები, მოტივირებულები და კრეატიულები შეარჩია კომისიამ 23 მონაწილიდან - რადგან ასე მოითხოვდა ტრენინგის ფორმატი.

გოგონები აქტიურად მუშაობდნენ თემაზე „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ანალიზი,

პოსტკონფლიქტური დარეგულირების გენდერული ასპექტები (კრეატიული მეთოდების ჩართვით)“.

ტრენინგი გაიმართა ერთობლივი ქართულ-აფხაზური პროექტის „ქალთა ხმების გაძლიერება კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში“ ფარგლებში.

4 დღის განმავლობაში უამრავ საინტერესო, ნაცნობ თუ უცნობ საკითხს შეეხნენ: ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიზეზები, დარეგულირების გზები, გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მისია, უენე-

6



ვის მოლაპარაკებები, ქალთა ლიდერობა, სამ-
შვიდობო ხედვის შემუშავება...

მონაწილეთა შორის იყვნენ გოგონები
კონფლიქტის ზონიდან, რომელთაც ბევრი
რამ საინტერესო შესძინეს ტრენინგს და მი-
იღეს მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცი-
ები.

ტრენინგზე მუშაობდნენ გამოცდილი
მწვრთნელები, ექსპერტები ქართულ-აფხა-
ზური კონფლიქტის საკითხებში: იულია ხა-
რაშვილი, დალი ხომერიკი, ხათუნა გოგუა და
ეკატერინე გამახარია.

სხვადასხვა ბლოკს დაესწრნენ პროექტის
დირექტორი ალლა გამახარია და კოორდინა-
ტორი მერი გელაშვილი.

ბოლო ორმა დღემ ახალგაზრდები „მონყ-
ვიტა“ რეალურ სამყაროს. მათ შექმნეს „სა-
კუთარი“ მშვიდობიანი პლანეტები, გამონა-
ხეს გზები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის
დარეგულირებისთვის.

ტრენინგი განსაკუთრებული იყო აქტიუ-
რი დისკუსიებით, ჯგუფური სამუშაოებით და
პრეზენტაციებით, არაფორმალური ურთი-
ერთობებით, თეატრის წარმოდგენაზე დას-
წრებით. გაუთავებლად შეიძლება დაინეროს
გოგონების ემოციებზე, რომლებიც ტრენინ-
გის ბოლოს გაუზიარეს ერთმანეთს:

„თავისუფალი
აზროვნების და
ფანტაზიის
გამოხატულება,
დადებითი
ემოციებით
დამუხტვა“.

„კრეატივის დღე
საინტერესო და
ემოციური იყო“.

„ამ ტრენინგმა გამამდიდრა“.

7

„ტრენინგმა მომცა ცოდნა, ფრთები და ენთუზიაზმი“.

„მივიღე
ინფორმაცია
კონფლიქტის
სტადიების
შესახებ,
შევიტყვე
ქართულ-
აფხაზური
კონფლიქტის
დინამიკა“.

„ამ ოთხმა დღემ ჩემი პიროვნების
ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა.
მივიღე უზღვავე ინფორმაცია,
რომელთა შესახებ მხოლოდ ზედაპირული
წარმოდგენა მქონდა“.

„დღეს ვიცი, რომ მე მნიშვნელოვანი
ვარ ჩემი სამშობლოსთვის და ჩემი
აქტიურობით შემიძლია პოზიტიური
ცვლილებების მოტანა“.

„დალლილი და სავსე მე!“

„მივხვდი, რომ ჩემს ფანტაზიასა და იდეებს საზღვარი არ გააჩნია“.



სტრუქტურის
საინტერესო
ღმრთეობა

8



ჩემლოკილან პრემიუმ, მაგრამ შესაძლებელ ჩემლოკამდე ლიდერ გოგონებთან ჩაცვარებულ კრეაციული ტრენინგი

ეკატერინე გამახარია

ფონდი „სოხუმის“ კონსულტანტი, მწვრთნელი

„გაცდით არსებულ სტერეოტიპებს, დროებით მონყდით რეალობას, გადალახეთ თქვენს ცნობიერებაში არსებული ყველა წინაღობა და შეეცადეთ, გადააბიჯოთ კლიშირებულ წარმოდგენას არსებულ მოვლენებზე, ადამიანებსა თუ საგნებზე... ეს დაგვაფიქრებს იმაზე, რაზეც აქამდე არ გვიფიქრია, დაგვემარება საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის გაფართოებაში, ახალი, არასტანდარტული იდეების გამომუშავებაში და გაგვიკაფავს ახალ გზას მშვიდობიანი მომავლისკენ!“

ამ სიტყვებით დაიწყო ფონდი „სოხუმის“ მიერ ორგანიზებული კრეატიული ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ექვსი სხვადასხვა ქალაქიდან (რეგიონიდან) მონვეულმა თვრამეტმა ლიდერმა გოგონამ. ტრენინგის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა მათი ინფორმირებულობის გაზრდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის საკითხებზე და არასტანდარტული და კრეატიული სავარჯიშოების გამოყენებით, მშვიდობის მშენებლობის და კონფლიქტის მოგვარების ახალი იდეების შემუშავება.

გამოცდილი ტრენერების დახმარებით, ტრენინგის პირველი ბლოკის განმავლობაში, გოგონები აქტიურად ეცნობოდნენ ქალთა ლიდერობის საკითხებს, ცდილობდნენ ლიდერობის უნარ-ჩვევების განვითარებისთვის საჭირო ტექნოლოგიების და მეთოდების დაუფლებას. მონაწილეებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სპეციფიკის შესახებ, გააანალიზეს კონფლიქტის მიზეზები და შედეგები, იმსჯელეს კონფლიქტის ირგვლივ არსებულ პოლიტიკურ კონიუნქტურაზე და რეალობაზე, რომელიც უშუალო გავლენას ახდენს კონფლიქტის მოგვარებაზე, ადამიანთა შორის ნდობის აღდგენასა და ურთიერთობების გაღრმავებაზე. საგულისხმოა, რომ ტრენინგის მსვლელობისას, მონაწილეები შეხვდნენ ჟენევის მოლაპარაკე-



ბის უშუალო მონაწილე ქალბატონს, რომელმაც გააცნო მათ ინფორმაცია ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატზე, მისი შექმნის წინაპირობებზე, იმ გამოწვევებსა და პერსპექტივებზე, რომლებიც თან ახლავს კონფლიქტის მხარეებს შორის ოფიციალურ დიალოგს.

ტრენინგის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა „კრეატიული თამაშები“, რომლის მიზანი იყო არასტანდარტული და უნიკალური მეთოდების გამოყენება, მონაწილეების „დაცულა“ არსებული სტერეოტიპებისგან და კლიშირებული საკითხებისგან, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების და მშვიდობის შენების ახლებური გზების შემუშავება.

ორი დღის განმავლობაში გოგონებმა შეძლეს ქვეცნობიერში შენახული, მდიდარი ფანტაზიების სკივრის აღმოჩენა და მასში ღრმად დაღეპილი იდეების ზედაპირზე გამოტანა. ისინი ქმნიდნენ არარეალურ, მაგრამ მათთვის სასურველ მშვიდობიან სამყაროს, გულუხვად გასცემდნენ საკუთარი შინაგანი გრძნობების უდიდეს განძს და უშრეტი შემოქმედებითი ფიქრების ნაყოფს.

მაგალითად, ერთ-ერთმა ჯგუფმა წარმო-

ადგინა პლანეტა „გლ“ (ჩვილი ბავშვის მიერ წარმოთქმული პირველი ბგერა), რომელთა ბინადრები, პატარა, ნათელი არსებები ჩვილი ბავშვებისთვის დამახასიათებელი სისუფთავით და უცოდველობით, მხოლოდ სიყვარულს და პოზიტივს ავრცელებენ საკუთარ პლანეტაზე და მის მიღმა.

ან პლანეტა „საკურა“ (ალუბლის ყვავილი), რომელიც ამ მცენარისთვის დამახასიათებელი სილამაზით და ღრუბლის სიფაფუკით გამოირჩევა, სადაც არ არსებობს საზღვრები, სადაც ადამიანები და სახლები შეუფერხებლად გადაადგილდებიან და ეცნობიან სამყაროს. ამ პლანეტის ბინადრები, ბუნების და გარემოს სიყვარულით, ცოდნის წყურვილით გამსჭვალულნი, მხოლოდ ბედნიერებას და სიკეთეს თესავენ.

საინტერესო იყო ერთ-ერთი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პლანეტა „არსებულიდან არარსებულამდე“, სადაც მშვიდობის დამყარებაში ადამიანებს ეხმარება სასურველ არსებებად გარდასახვის უნარი. ზოგიერთი გარდაისახება მტრედად, რაც მას აძლევს შესაძლებლობას, შეუფერხებლად იფრინოს და თესოს მშვიდობა იმ ადგილებში, სადაც ეს საჭიროა. ზოგიერთი კი გარდაისახება პეპლად, რათა ლამაზ ფერთა გამით გაალამაზოს სამყარო.

წარმოდგენილი იყო ასევე საათის ფორმის პლანეტა, რომელიც დროის ძირითად თვისებებს - დაუსრულებელ მოძრაობას, ჟამთა სვლას და ხანთმონაცვლეობას - სიმბოლირებდა. ციფერბლატი კი ციფრების და ისრების მაგივრად ღიმილით, ცოდნით, პოზიტივით, თავისუფლებით, სიტბოთი, სიყვარულით და ბედნიერებით იყო აღნიშნული. თოფის ფორ-

მის საათის მექანიზმი, ტყვიის მაგივრად ყვავილების გასროლით უზრუნველყოფდა საათზე წარმოდგენილი კატეგორიების მონაცვლეობას, რაც უსასრულოდ მეორდებოდა და ასე დაუსრულებლად იფრქვეოდა მშვიდობა...

ტრენინგის მსვლელობისას მონაწილეები ცდილობდნენ მათთვის ჩვეული ნივთების გამოყენების სრულიად არასტანდარტული მეთოდების მოფიქრებას, მათ მიერ გამოგონილი მშვიდობიანი სამყაროსთვის, მისი მობინადრეებისა და საგნებისთვის სრულიად ახალი სახელების და ფუნქციების მიკუთვნებას და უნიკალური ლექსიკონის შედგენას.

მონაწილეთა უმრავლესობის თქმით, კრეატიულმა თამაშებმა ისინი არა მარტო მოწყვიტა არსებულ რეალობას და სხვა, შეთხზულ და არარეალურ სამყაროში გადაიყვანა, არამედ მისცა იდეების გენერირების საკმარისი თავისუფლება და უბიძგა თამამი წინადადებების გამომუშავებისკენ. მონაწილეთა უკუკავშირმა ცხადყო, რომ მუშაობის ამ მეთოდმა მათ ნათლად დაანახა საკუთარი ფანტაზიის და წარმოსახვითი უნარის სრულიად ახალი შესაძლებლობები და დააჯერა, რომ ადამიანის ფანტაზიის ნებისმიერი ნაყოფი, როგორც აბსურდული და არარეალურიც არ უნდა მოგვეჩვენოს ერთი შეხედვით, შესაძლოა რეალობად იქცეს.

ტრენინგის კულმინაციური ნაწილი ითვალისწინებდა სტერეოტიპებისგან განთავისუფლებული მონაწილეების ჩართვას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების და ნდობის აღდგენის ახალი გზების ძიების და შემუშავების პროცესში. საგულისხმოა, რომ ფაქ-



„კრეატიულმა ტრენინგმა შესაძლებლობა მომცა, გავცდნოდი რუტინულ რეალობას და გზა მისცა ჩემს ფანტაზიას. მე მივხვდი, რომ არაფერია შეუძლებელი ჩვენს სამყაროში“.

ტობრივად ყოველი მონაწილე გამოხატავდა არსებული თემის მიმართ დიდ დაინტერესებას და მზაობას, გადახედოს კონფლიქტის დარეგულირების არსებულ გზებს და მაქსიმალური შემოქმედებითი განწყობით, ახლებურად მიუდგეს აფხაზურ მხარესთან დაახლოების და შერიგების შესაძლო სცენარების და პერსპექტივების გამომუშავების პროცესს.

მიუხედავად იმისა, რომ მუშაობისას გოგონებს ხშირად უჭირდათ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების უკვე არსებული და აპრობირებული მიდგომების შემოთავაზებისგან თავის შეკავება და მათ ცნობიერებაში მყარად ფესვგადგმული სტერეოტიპებისგან განთავისუფლება, ერთმნიშვნელოვნად იგრძნობოდა თითოეული მონაწილის შემოქმედებითი ენერჯის და პოტენციალის მაქსიმალური მობილიზება და არსებული ჩარჩოებისგან გამოსვლის მცდელობა.

მუშაობის პროცესში მონაწილეებმა წარმოადგინეს უამრავი საინტერესო იდეა, მათ შორის აღსანიშნავია:

✓ მეგობრობის და დიალოგის სურვილის დასტურად, ღია მშვიდობის ბარათების დღის მონყოლა და მტრედებით აფხაზურ მხარეს წარგზავნა ან საიდუმლო მეგობრული წერილების დალუქული ბოთლით ზღვაზე გაშვება;

✓ ერთობლივი ახალგაზრდული ნიღბების თეატრის მონყოლა, სადაც მონაწილეები ინკოგნიტოდ წარსდგებიან და მოყვებიან თავიანთ ცხოვრებისეულ ისტორიას და გაუზიარებენ ერთმანეთს თავიანთ წუხილს, სატკივარს თუ სანუკვარ სურვილებს;

✓ მოძრავი ახალგაზრდული ბანაკების მონყოლა (არქეოლოგიური ექსპედიციების ან კვლევების ჩასატარებლად), სადაც მსგავსი ინტერესის მქონე ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ, ერთად იმოგზაურონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ჩაატარონ კვლევები ან არქეოლოგიური გათხრები;

✓ ახალი სამშვიდობო ლექსიკონის ერთობლივად შექმნა და კონფლიქტის მხარეებს შორის დიალოგის გამართვა ახალ ენაზე;

✓ სტუდენტების მობილიზება და ენგურის ხიდზე ერთობლივი ღონისძიების „ენგურობის“ გამართვა, სადაც ახალგაზრდები გააცნობენ ერთმანეთს თავიანთ ისტორიულ-კულტურულ ღირებულებებს, მონაწილენ ნაციონალური კერძების ფესტივალს, გამართავენ გუნდის შეკვრის და ნდობის გაღრმავების სხვადასხვა საინტერესო აქტივობას;

✓ თანამედროვე ტექნოლოგიების და ინტერნეტის გამოყენებით სამშვიდობო და დადებითი ინფორმაციის გავრცელება აფხაზური მხარის შესახებ და ა.შ.

კრეატიული ტრენინგი გამოირჩეოდა მონაწილეთა აქტიურობით და დინამიურობით, უჩვეულო იდეების მრავალფეროვნებით და მონაწილეების მხრიდან თავის გამოვლენის მცდელობით. საინტერესოდ ვითარდებოდა მშვიდობის დამყარების, შერიგების და ნდობის აღდგენის სურვილით შეპყრობილი ახალგაზრდების ტრანსფორმაცია. ზოგიერთი მათგანი დაფიქრდა ისეთ საკითხებზე, რომლებზეც არასდროს უფიქრია წარსულში, გაიაზრა სამშვიდობო პროცესის და თითოეული ადამიანის აქტიურობის მნიშვნელობა კონფლიქტის მოგვარების საქმეში.

ჯგუფური პრეზენტაციების დროს დიდი ემოციები გამოიწვია ერთ-ერთი მონაწილის მიერ რამდენიმე წუთში შედგენილმა ემოციურმა გზავნილმა, სადაც ის წერილის ერთ-ერთ ნაწილში მიმართავს აფხაზი თანატოლების მშობლებს და ახალგაზრდებისთვის მშვიდობიანი მომავლის შექმნაში ხელშეწყობას სთხოვს: „ყველა ადამიანს აქვს უფლება, მოიპოვოს მისი წილი ბედნიერება. ჩემი ბედნიერება მშვიდობიანი აფხაზეთია. მე გთხოვთ, დამეხმაროთ მის მიღწევაში. ვიცი, მსგავსი გრძნობები თქვენი შვილის სულსაც აწვითებს. იბრძოლეთ მშვიდობისთვის და შვილის ბედნიერებისთვის.“

ტრენინგის პრაქტიკულად ყოველმა მონაწილემ გააცნობიერა, რომ მშვიდობის მიღწევა ცვლილებებს მოითხოვს და რომ არსებული რეალობის ცვლილება სწორედ საკუთარი აზროვნების და შეგნების ცვლილებით იწყება.

ტრენინგის ყველაზე დიდ მონაპოვრად შეიძლება მივიჩნიოთ საინტერესო და ახალი იდეებით დახუნძლული 18 ახალგაზრდა, რომელსაც თამამად შეუძლია შეუერთდეს მრავალრიცხოვან მშვიდობისმყოფელ ქალთა არმიას და პოზიტიური ცვლილებები მოახდინოს როგორც საკუთარი სამშობლოს, ასევე მის საზღვრებს გარეთ მშვიდობის შენების და მიღწევის საქმეში.

ნომეპრის თხილი ღღევაი თელ-ავივი ქალებს შეუძლიათ პოზიციური მაცხცის შეცანა სამშვიდობო საქმიანობაში

სათუნა გოგუა

ფონდი „სოხუმის“ მწვრთნელი, პროექტის მონაწილე

შეხვედრის თარიღი: 2015 წლის
10-13 ნოემბერი

შეხვედრის ადგილი: თელ-ავივი,
სასტუმრო „სინეთი“

შეხვედრის მონაწილეები: 7-7 ქა-
ლი ორივე მხრიდან

შეხვედრის მიზანი: ისრაელის
ქალთა ორგანიზაციების გამოც-
დილების გაცნობა - როგორ შევ-
ცვალოთ კონფლიქტის თანამდევი
რეალობა: სიძულვილი და მტრობა
და შევემნათ ალტერნატივა, რო-
მელიც რეგიონში მშვიდობის დამ-
ყარების იმედს იძლევა.

გაიმართა შეხვედრები ისრაელის ქალ-
აქტივისტებთან, რომლებიც გაერთიანდნენ
ქალთა მოძრაობაში მშვიდობისა და კონ-
ფლიქტის პრევენციისათვის: ასია ისტოშინა,
ესთერ რაპოპორტი და ლანა ზილბერმანი.

შეხვედრის მონაწილეები შეეხნენ შემდეგ
საკითხებს: ძალადობა, დაუცველობის შეგ-
რძნება, საომარი მოქმედებების განახლების
და ტერაქტების შიში, მაგრამ ამავე დროს,
მზადყოფნა - მთელი ძალისხმევა გააერთი-
ანონ ოკუპაციის შეწყვეტისა და მდგრადი
მშვიდობისათვის.

ქართულ-აფხაზური ჯგუფის წევრები
შეხვდნენ აფხაზეთის ყოფილ მცხოვრებ-
ლებს. ეს იყო შესაძლებლობა, პრობლემის-
თვის მათი თვალთ შეეხედათ.

შეხვედრა სასარგებლო იყო გამოცდი-
ლების მიღების კუთხით - ისრაელელ ქალთა
მიდგომა, მეთოდები და მოტივაცია, გააერ-
თიანონ სამოქალაქო საზოგადოება ყვეყნის
მშვიდობიანი მომავლისათვის.



ყველა კონფლიქტი ერთმანეთს ჰგავს

კონფლიქტოლოგიაში საყოველთაოდ აღიარებული ფრაზაა: „ყველა კონფლიქტი ერთმანეთს ჰგავს, ყველა კონფლიქტი ერთმანეთისგან განსხვავებულია.“ ამ თითქოსდა ურთიერთგამომრიცხავ ფრაზაში სრული ჭეშმარიტებაა. არავინ დავობს იმაზე, რომ ნებისმიერი კონფლიქტი ერთნაირი სქემით მიმდინარეობს: მიზეზები, ესკალაცია და შედეგად - დაპირისპირებული მხარეები. მიუხედავად ამ საყოველთაო სქემისა, ყველა კონფლიქტი განსხვავებულია, განსხვავებული მიზეზებით, მიმდინარეობით და შესაბამისად - მოგვარების გზებით.

კონფლიქტების მიმართ ჩვენი დაინტერესება ჩვენივე საქმიანობიდან მომდინარეობს.

ფონდი „სოხუმი“ ერთ-ერთია იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, რომლის სამუშაო სტრატეგიაში დაარსებიდან დღემდე უცვლელია სამშვიდობო მიმართულება. ამ სტრატეგიიდან გამომდინარე, ასევე აქტუალური და პრიორიტეტულია ქალთა როლი სამშვიდობო საქმიანობაში.

მსოფლიო თუ ქართველი პოლიტიკოსების, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მცდელობის მიუხედავად, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ჩაენერა „ბებერი“ კონფლიქტების სიაში. თუმცა დღემდე არ დაბერებულა სამშვიდობო საქმიანობა. დღემდე იძებნება გზები და საშუალებები, მუშავდება იდეები საერთო შეხების წერტილების აღმოსაჩენად.

როგორია სხვა ქვეყნების გამოცდილება კონფლიქტების მოგვარების საქმეში, როგორ მუშაობენ ქალთა ორგანიზაციები ამ მიმართულებით. სამშვიდობო საქმიანობის ამოუწურავ ოკენეში დარჩა კი ისეთი მეთოდი, რომლის დანერგვა და გამოყენება პოზიტიურ შტრიხებს შეიტანს ჩვენს ურთიერთობაში.

სწორედ ეს იყო ნოემბერში ისრაელში სამუშაო ვიზიტით ფონდი „სოხუმის“ წარმომადგენელთა გამგზავრების მიზანი.

თელ-ავივი ქალთა ორგანიზაციებს უნდა შევხვდეთ

ქუთაისური ნოემბრის სუსხის შემდეგ უჩვეულო სითბოთი გვხვდება ისრაელი. თუმცა, ეს არც არის გასაკვირი. თელ-ავივი ხომ ივრითზე „გაზაფხულის ბორცვს“ ნიშნავს. თუმცა, სამწუხაროდ, მარადიული მზისა და სიყვარულის ქვეყანაში ყველაფერი არც ისე კარგადაა. კონფლიქტი, რომელიც ისრაელ-პალესტინის, ხანაც ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის სახელითაა ცნობილი, უკვე რამდენიმე ათწლეულს ითვლის და დღემდე გრძელდება.

გამგზავრებამდე ისრაელის კონფლიქტზე ინფორმაციებს ვაგროვებ. უამრავი მასალა არსებობს კონფლიქტის მიზეზებზე, მისი წარმოშობის გზებზე:

„ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ტერიტორიული დაპირისპირება სახელდება, თუმცა არ გამორიცხავენ რელიგიურ მოტივსაც, რომელიც არცთუ ისე სუსტია. ქვეყნებს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებები ჩიხშია შესული. ისინი ვერ თანხმდებიან აღმოსავლეთ იერუსალიმისა და მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროს სტატუსზე. ბოლო პერიოდში, პალესტინაში განსაკუთრებით გააქტიურდნენ რადიკალურად განწყობილი ძალები, რომლებსაც მიზნის მისაღწევ მთავარ საშუალებად ტერორიზმი მიაჩნიათ. ისინი ახორციელებენ ტერორისტულ აქტებს სადავო ტერიტორიებზე, მათ „ვალში არ რჩება“ ისრაელიც, რომელიც თავის მხრივ დამსჯელ პოლიტიკას ატარებს. ძალადობა კიდევ უფრო დიდ ძალადობას იწვევს. მის ყველაზე სისხლიან გამოვლინებად იქცა ახლად ჩამოყალიბებული დაჯგუფებები: „ჰამასი“, „ისლამური ჯიჰადი“.

კონფლიქტის სუნი ყველა უბანს ეტყობა. ან იქნებ ჩვენ, ჩამოსულებს გვაქვს ეს გრძნობა გაძლიერებული. რადგან სულ უფრო ხშირად ვისმენთ ინფორმაციას ისრაელის სხვადასხვა ადგილას მომხდარ ტერორისტულ აქტზე, რაც მზისა და სინათლის ქვეყანაში არასტაბილურობის შეგრძნებას კიდევ უფრო აძლიერებს.

სასტუმრო „გილ-გელის“ მისაღებში რუსი ებრაელი გოგონა საკუთარ ისტორიას გვიამბობს. გატეხილი რუსულით ამბობს, რომ ოთხი წლის იყო, როცა მისი მშობლები რუსეთიდან ისრაელში დაბრუნდნენ. ეს ნორმალური იყო, რადგან ეს მისი სამშობლოა და აქ უნდა იცხოვროს. მისი თქმით, აქ ყველაფერია იმისთვის, რომ გემრიელად იცხოვრო, ეს მიწა ებრაელებსაც და არაბებსაც ეყოფათ, მაგრამ მაინც ვერ იყოფენ. ომი არავის სჭირდება, მაგრამ მაინც ვერ აჩერებენ.

კონფლიქტზე, ტერორიზმზე ყველა საუბრობს. ერთ-ერთი ტურისტის ქალბატონი, რომელიც გერმანიიდან ჩამოვიდა, ხუმრობით გვიყვება: - ჩემი მეგობარი გამომგზავრების წინ მეუბნება, შენ რა, გაგიჟდი, სიკვდილი ხომ არ მოგენატრა, ამხელა რუკაზე ნუთუ უკეთესი ადგილი ვერ მონახეო.

ყველაფრის მიუხედავად, სასტუმროში ტურისტების ნაკადი არ წყდება. ჩამოსვლის მიზეზი ყველასთვის ერთია. ეს ხომ წმინდა მიწაა. აქ მოხვედრაზე ნებისმიერი ქრისტიანი ოცნებობს.



სამშვიდობო საქმიანობის ბაცნობა, პარალელები, მომავლის პერსპექტივები

პირველი სტუმარი ასია ისტომინაა - ორგანიზაცია „ადამიანური უსაფრთხოების ინდექსი“.

პირველივე წუთებიდან ახერხებს შთაბეჭდილების მოხდენას. საუბრობს ისრაელის კონფლიქტზე, მშვიდობაზე, საკუთარ საქმიანობაზე - მშვიდობისმყოფელი ქალის საინტერესო სახე იხატება.

ადამიანური უსაფრთხოების თემა ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა. პარალელები ბუნებრივად ჩნდება. ამ მიმართულებით გაკეთებულ ჩვენს საქმიანობასაც ვაფასებთ. დიდი გულისყურით ვისმენთ ინფორმაციებს მათ მიერ ჩატარებულ კვლევაზე, რომელიც ადამიანური უსაფრთხოების ინდექსის განსაზღვრას გულისხმობს. თავადაც ინტერესდება ქართული და აფხაზური მხარეების მიერ ჩატარებული კვლევებით. ასია ამბობს, რომ დაპირისპირებული მხარეებისთვის, გარდა ომისა და კონფლიქტისა, არსებობს სხვა ტიპის საფრთხეები, რომელთა მოგვარება, შეცვლა შესაძლებელია და სწორედ აქედან უნდა იწყებოდეს სამშვიდობო საქმიანობა: „ჩვენ შეიძლება ვერ შევაჩეროთ კონფლიქტი, მაგრამ შეიძლება მოგუხსნათ ქალებს ის საფრთხეები, რომელთაც ისინი მუდმივად გრძნობენ.“

მისი აზრით, ადამიანური უსაფრთხოების ინდექსის განსაზღვრა მნიშვნელოვანია სამშვიდობო საქმიანობაში, რადგან ის გეხმარება, განსაზღვრო, რა კუთხით უნდა გააძლიერო მუშაობა, რა მიმართულებით დასვა მთავარი აქცენტები. ჩატარებული კვლევებიდან კონკრეტული მაგალითები მოჰყავს: „ქალებს ომის ეშინიათ, მაგრამ უფრო მეტად ეშინიათ იმ ჩაბნელებული ქუჩების, სადაც მუდმივად უწევთ სიარული.“

ინტერაქტიული რეჟიმი საშუალებას იძლევა, ადამიანური უსაფრთხოების თემაზე ჩვენს მიერ ქართულ და აფხაზურ მხარეს ჩატარებული კვლევები გავაცნოთ. აქაც ანალოგიური შედეგებია: სოციალური პრობლემები, უმუშევრობა, კვება, ჯანმრთელობა, ადამიანური საფრთხეები, რომელიც ერთნაირად აწუხებს როგორც აფხაზ, ასევე ქართველ ქალებს.

შეხვედრა მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც,

რომ საკუთარი საქმიანობის შეფასების საშუალებაც გვეძლევა - ადამიანური უსაფრთხოება სწორედ ის თემაა, რომელიც საერთოა კონფლიქტის ორივე მხარისთვის.

ესთერ რაპოპორტი - ორგანიზაცია „კოალიცია ქალები მშვიდობისათვის“. ეს მეორე ორგანიზაციაა, რომელიც გამოცდილების გასაზიარებლად გვესტუმრა. მომხსენებელი განსაკუთრებული ანალიზით გამოიჩინა. ხაზგასმით საუბრობს, რამდენად მნიშვნელოვანია სამშვიდობო საქმიანობაში ქალთა აქტივობა. გამოცდილება დიდი აქვთ: აქციები, მასმედიის დაინტერესება, ხმაური ორივე მხარის ადამიანთა შორის სიძულვილის აღმოსაფხვრელად.

ესთერ რაპოპორტის მოსაზრებები ჩვენს ჩანაწერებში ჩნდება: „სამშვიდობო პოლიტიკას ხალხი აშენებს, ორივე მხარეს მყოფი ადამიანები. პოლიტიკოსებს არ შეუძლიათ ამ განწყობის ერთ დღეში შექმნა. მშვიდობის შენება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ყოველდღიურ დაუღლელ საქმიანობას გულისხმობს. ხალხმა უნდა გაიაზროს, რომ კონფლიქტი მხოლოდ უკან გვახედებს, მშვიდობა - წინ. ნებისმიერ საზოგადოებაში მოიძებნება ასეთი ადამიანები. ჩვენ უნდა ვიძრომოთ იმისათვის, რომ მათი რაოდენობა გავზარდოთ.“

12 ნოემბერს შეხვედრაზე სტუმრად არის ლანა ზილბერმანი - ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისათვის“. განსაკუთრებით შთაბეჭდავია მისი საუბარი. ისრაელის რუკას შლის და მისი დახმარებით ზუსტ წარმოდგენას გვიქმნის, გეოგრაფიულად ქვეყნის რომელ ნაწილში მიდის კონფლიქტი, რომელი ტერიტორიები ითვლება ოკუპირებულად.

საკუთარი თავის წარდგენას ორიგინალურად იწყებს. გვიყვება თავის ბიოგრაფიას, რომელიც მთლიანად უკავშირდება ამ ორი ქვეყნის კონფლიქტს. ინტერესი მისი პიროვნებისადმი კიდევ უფრო ძლიერდება, როცა ვიგებთ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ დედისერთა იყო და შეეძლო თავიდან აეცილებინა ჯარში წასვლა, პირიქით, სულიერი მოთხოვნა ჰქონდა, რომ სამხედრო სამსახური გაეწყო და იმსახურა კიდევ.

თითოეულ ისტორიას ემოციურად გადმოგვცემს. გავიცანით ადამიანი, რომელმაც სრული რეფორმა განიცადა. გაიარა ყველა გზა. დაიწყო სამხედრო სამსახურით და საბოლოოდ არჩევანი სამშვიდობო საქმიანობაზე შეაჩერა.

ამ ისტორიაში ბევრი რამ იყო ნაცნობი. ისეთი, რომელიც ყველა კონფლიქტს თან ახლავს. განსაკუთრებით ემოციური იყო ის დეტალი, როცა ამბობდა, რომ ყველა არაბში მოსისხლე მტერს ხედავდა. მერე სრულიად შემთხვევით გაიცნო ერთი ადამიანი. გულწრფელად ყვება, როგორ იმსხვრევა მტრის ხატი, როცა იგებს, რომ ეს პიროვნება, ასეთი კეთილი და არაჩვეულებრივი, თურმე არაბია. ტრანსფორმაცია, რომელიც მის სულში ხდება, სათავეს უდებს მის სამშვიდობო განწყობას.

მის ნაამბობში არის ისტორიები, რომელიც შემზარავია სისატიკით, სადიზმით - როგორ აწამეს 12 წლის ბიჭი იმის გამო, რომ არაბი იყო. ამის საპასუხოდ 5 ებრაელი ბიჭის სიკვდილით შურისძიება.

კონფლიქტების მიზეზებზე საუბრისას ისევ აკეთებს მისეულ ანალიზს. ყველა კონფლიქტისთვის ნაცნობი თემა - ისტორია: „ვინ იყო ამ მიწაზე პირველი. ბოლოსდაბოლოს ვისია ეს მიწა, კითხვები, რომელთაც არასოდეს გაეცემა პასუხი, რადგან არსებობს ორი მხარე, რომელიც ამ ისტორიებს სხვადასხვანაირად წერს“.

სამივე ორგანიზაციის გამოცდილება ჩვენთვის მნიშვნელოვანია, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ სამშვიდობო საქმიანობაში აუცილებელია ყოველდღიური მუშაობა, საერთო შეხების წერტილები. თითოეული შეხვედრის დროს ვავლებდით პარალელს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან. ვინიშნავით აქტივობებს, რომლებიც ჩვენ არ გავგვიკეთებია და რომელთა დანერგვაც შესაძლებელია.

დღემდე გონებაში რჩება ლანა ზილბერმანის სიტყვები, რომელმაც გვითხრა, რომ წარმოუდგენელი არაფერია ამ ქვეყნად, ვოცნებობ იმ დღეზე, როცა ისრაელში დაბრუნდება დრო, როცა ყველაფერი კარგად იყო. იმედი მაქვს, რომ ეს ოცნება აუცილებლად ახდება. თუ ამის არ გჯერა, მშვიდობას ვერ ააშენებ.

ერთმანეთს დავშორდით იმ განწყობით, რომ გამოცდილება, რომელიც ისრაელში მომუშავე ორგანიზაციებმა გაგვიზიარეს, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაშიც ვპოვებს ასახვას და ქალები შეიტანენ პოზიტიურ მუხტს სამშვიდობო საქმიანობაში.

4 დღე და კიდევ 7

საინცერესო შეხვედრები საინცერესო ქალებთან

ანა მამულია

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სტუდენტი, პროექტის მონაწილე

16

მე ვარ ანა მამულია, აფხაზეთის შვილი. იმის მიუხედავად, რომ ენგურს აქეთ დავიბადე და აფხაზეთი თვალთ არ მინახავს, მაინც ვგრძნობ, „ვისი გორისა ვარ“, ვგრძნობ, მიყვარს და მტკივა ჩემი კუთხის მონატრება. საოცარი შეგრძნებაა, როდესაც გენატრება ის, რაც არ გინახავს. სიზმარში ნათლად ხედავ შენს თავს „უცხო“ მხარეში, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია.

ძალიან იშვიათად ვლაპარაკობ ყველაზე ახლობელ „უცხო“ მხარეზე, რადგან მიმიძის, ცრემლები მერევია... სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, თუ რატომ არ მინდოდა კონფლიქტოლოგიის თემატიკის ტრენინგში მონაწილეობა. ვიცოდი, ემოციურად რთული იქნებოდა ჩემთვის. და მაინც, საუკეთესო ახალგაზრდებთან ერთად ბევრი ვისაუბრე კონფლიქტზე და მისი მოგვარების გზებზე. „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის კრეატიული, პოსტკონფლიქტური დარეგულირების გენდერული ასპექტები, კონფლიქტის ანალიზი და კომუნიკაცია“ - ამ ძირითად საკითხებზე ვმუშაობდი ოთხდღიანი ტრენინგის განმავლობაში ჩემს თანატოლებთან ერთად.

არაერთხელ და არაერთს აღუნიშნავს, რომ კონფლიქტის მოგვარებაში ქალთა ხმა აუცილებელია, თუმცა საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე დაახლოებით 300 დოკუმენტიდან ქალი ნახსენებია მხოლოდ 17-ში. პრობლემაა ასევე ის, რომ ქალები ყოველთვის უმცირესობაში არიან პარლამენტში (მხოლოდ რუანდა წარმოადგენს გამონაკლისს). ქალები აწარმოებენ სოფლის პროდუქციის 70%-ს, ხოლო შედეგად იღებენ მოგების მხოლოდ 1%-ს, ეს და მრავალი სხვა სტატისტიკა საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ გენდერული

თანასწორობა ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. სწორედ ქალთა ინტერესები და საჭიროებები არ არის გათვალისწინებული.

აქვე უნდა აღინიშნოს არასამთავრობო ორგანიზაციათა დიდი წვლილი ამ პრობლემის მოსაგვარებლად. სწორედ მათი ინიციატივით დაემატა გაეროს პირველადი დახმარების პაკეტს (რომელშიც ადრე მხოლოდ ლობიო, ზეთი და შაქარი შედიოდა) ჰიგიენური საშუალებები.

ასეთ ვითარებაში, რა დოკუმენტებზე აპელირებით ახერხებენ ქალები თავიანთი უფლებების დაცვას? ეს დოკუმენტებია: CEDAW (საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 1994 წლიდან), გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, პეკინის პლატფორმის სამოქმედო პროგრამა, ათასწლეულის განვითარების მიზნები, 40.1 დირექტივა NATO, სტამბოლის კონვენცია.

ტრენინგის თვრამეტივე მონაწილე გოგონა იყო, ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ საუბრის თემები გადასწვდა ქალთა უფლებებსა და ჩართულობას.

დამეთანხმებით, რომ რთულია, დაინახო კონფლიქტი სხვა რაკურსიდან, წარმოიდგინო თავი სხვის ადგილას, ილაპარაკო კონფლიქტის მეორე მხარის გადმოსახედიდან.

„ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ აფხაზეთის მხარის გამართლებას შევძლებდი,“ - თქვა ტრენინგის ერთ-ერთმა მონაწილემ, თუმცა ჩვენ ესეც შევძელით. ჩვენ შევძელით მეტიც, გამოვიგონეთ ჩვენი სამყარო და ენა, რომელშიც არ იყო ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: მტერი, ომი, ტკივილი. ჩვენ შევქმენით და ვლაპარაკობდით მშვიდობისა და სიყვარულის ენაზე.

ძალიან ხშირად ვუკვირდები ჩემს თავს, ვცდილობ, დღე არ გავიდეს ისე, რომ რაღაც ახალი არ ვისწავლო. მგონია, რომ თვითრეფლექსია განვითარების საუკეთესო გზაა. ახლა, როდესაც საკმაო დრო გავიდა ტრენინგიდან, უკეთ აღვიქვამ იმ დიდ სკოლას, რომელიც გავიარე ოთხ დღეში, საუკეთესო მწვრთნელებთან და ტრენინგის საინტერესო მონაწილეებთან ერთად.

პროექტში ჩემს მონაწილეობას ძალიან საინტერესო გაგრძელება მოყვა: ქალთა ორგანიზაციების გამოცდილების გაცვლის მიზნით, ისრაელის ქალაქ თელ-ავივში ფონდი „სოხუმის“ თანამშრომლები და ტრენინგის მონაწილე ორი გოგონა გავემგზავრეთ. ჩემი კომპანიონი სალომე სახვაძე ჩემი საუკეთესო მეგობარია, ამიტომ მგზავრობას სხვა ხიბლი ჰქონდა. იმის მიუხედავად, რომ ალბათ გარეგნულად ძალიან მშვიდად გამოვიყურებოდი, გულში მაინც ვგრძნობდი აღელვებას, ფორიაქს. ბოლოს ჩემს მეგობარს გავუხილეთ: „სალო, პირველად უნდა შევხვდე აფხაზებს, შეიძლება რომელიმე, იქ, ჩემი მეზობელი იყო“, - ეს აზრი არ მასვენებდა.

ჩვენ შევხვდით ჟურნალისტს, ისრაელში ქალთა ორგანიზაციის აქტივისტს ასია ისტონინას. მართლაც დასამახსოვრებელი, აქტიური და ძალიან გულისხმიერი ქალბატონია, რომლის გადმოცემის მანერამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ის ემოციური მდგომარეობა, რომლითაც ის უსმენდა ქართველ და აფხაზ მხარეებს და თავად აღწერდა ისრაელის მდგომარეობას, უდავოდ, ვერავის დატოვებდა გულგრილს. შეხვედრის ინტერაქციულმა სტილმა ნამდვილად დადებითი შედეგი გამოიღო, რადგან დაისვა უამრავი საინტერესო შეკითხვა, უამრავი ფარული დეტალი გამოჩნდა სინათლეზე, რომელთა არსებობაც „სხვა მხარისთვის“ რთული წარმოსადგენი იყო.

ჩემთვის, როგორც მომავალი სოციოლოგისთვის, განსაკუთრებულად საინტერესო იყო იმ კვლევის შედეგები, რომლებიც ასიამ გაგვაცნო. „ქალებმა თქვეს, რომ დიახ, მათ ეშინიათ ომის, მაგრამ ღამით ქუჩაში სიარულის - უფრო“. ასიამ იკითხა, თუ რატომ და მათი პასუხი იყო შემდეგი: „ომი ჩვენთან წელიწადში ერთხელაა, ხოლო ბნელ ქუჩებში ყოველდღე დავდივართ“. სწორედ ამიტომ, ისინი ზღუდავენ საკუთარ სივრცეებსა და დროს. ეს ფრაზა ისე ღრმად აღიბეჭდა ჩემს გონებაში, რომ მსურს მსგავსი თემატიკის კვლევა ჩავატარო საქართველოშიც.



ასევე გავიცანი დოქტორი ესთერ რაპოპორტი, რომლის გამოცდილებამ დამანახა არაძალადობრივი ანტიოკუპაციური პროტესტის ძალა.

ლაზის თავდასხმა პროპორციულად ზრდის ისრაელიდან იარაღის ექსპორტს და, რარიგ შემზარავად არ უნდა ჩანდეს, იარაღების გამოფენებზე არის წარწერები, რომ ეს გამოყენებულია და დატესტილია ადამიანებზე, ადამიანურ სიცოცხლეზე. აღიმადლო ხმა ასეთ სისასტიკეზე, ერთი შეხედვით, ადამიანური პროტესტის ბუნებრივი გამოძახილია, თუმცა მხოლოდ უდიდესი გამბედაობის ფასად, რადგან ის რისკი, რომელსაც აწყდებიან ესთერი და მისი თანამოაზრეები, ჩემთვის „რკინის ეშმასთან“ ბრძოლას ჰგავს. ეს საში-

შია, ეს რთულია, მაგრამ აუცილებელი, ამიტომ კიდევ ერთხელ აღვნიშნავ მათ მიმართ უსაზღვრო პატივისცემას.

კიდევ ერთი ქალბატონი, რომლის გაცნობის საშუალებაც მომცა ამ პროექტმა, არის ლაზას სექტორში მებრძოლი ლანა ზილბერმანი. მან გვიამბო პირადი ისტორია, თუ როგორ გაიცნო არაბი, რომელსაც არ ჰქონდა „მტრის სახე“. ეს სულისმძიერი ისტორია ნამდვილად გულში ჩამწვდომი იყო თითოეული მსმენელისთვის.

შემიძლია ვთქვა, რომ ისრაელში გატარებული თითოეული დღე ემოციურად დატვირთული და უდიდესი გამოცდილების მომტანი იყო ჩემთვის და დარწმუნებული ვარ, თითოეული იმ ადამიანისთვის, ვინც იქ იყო.

შვიდი ქართველი და შვიდი აფხაზი ქალი - 7 დღე ერთმანეთის გვერდით (ბევრისთვის 7 ბედნიერი რიცხვია, ალბათ, მათ რიგში მეც ვარ). ჩვენ ვბჭობდით, განვიხილავდით მნიშვნელოვან საკითხებს. ერთად ვსაუბრობდით, ვყვებოდით ისტორიებს, ვიცინოდით. უკვე აღვნიშნე ის მღელვარება, რომელიც აფხაზ კოლეგებთან შეხვედრის გამო მქონდა, მაგრამ როდესაც პირველად ვნახე აფხაზი (შეიძლება, მე მის მეზობლად ვცხოვრობდი), ძალიან ცხადად ვიგრძენი ყველაზე ახლოებული „უცხო“ მხარის უსაზღვრო მონატრება. გაფუღივდი ჩემს ტოლ აფხაზ გოგონას და ვუთხარი: „Я АНИ“. იმის მიუხედავად, რომ რუსულ ენაზე თავისუფლად ვსაუბრობ, ძალიან გამიჭირდა ლაპარაკი, თითქოს ჩემი პირის აპარატი უარს ამბობდა, არასდროს ვიფიქრებდი, რომ რუსულად საუბარი გამიჭირდებოდა, მაგრამ ახლა ვფიქრობ და მგონია, რომ ეს შინაგანი პროტესტი იყო, რადგან ჩვენ საკომუნიკაციოდ სხვა ენა გვჭირდებოდა. აი, ისეთი ენა, ტრენინგის დროს რომ გამოვიგონეთ, რომელშიც არ იყო სიტყვები: ომი, ტკივილი, მტერი. გვჭირდებოდა ენა - სიყვარულისა და მშვიდობის.

ებრაელი ბიჭების სასტიკი მკვლელობის ისტორია, რომლის საპირწონედ ებრაელმა ბავშვებმა ცოცხლად დანვეს 16 წლის ბიჭი, ნამდვილად გიყინავს სისხლს. სისასტიკე და დაუნდობლობა, რომელიც შხამავს ბავშვის გულს, ბევრად უფრო დამლუპველია, ვიდრე თანმდევი საომარი მოქმედებები. ამ მოვლენების შემდეგ რვა წლის ბავშვს უჩნდება კითხვა, რომ როცა 18 წლის გახდება, ან - მან უნდა მოკლას, ან - ის უნდა მოკლან? დიას, ეს საშინელებაა, მაგრამ რაც უფრო მძიმეა რეალობა, მით უფრო ძლიერი ხდება სამშვიდობო



სამოქალაქო მოძრაობები. ისრაელი და ისრაელში მცხოვრები ქალები ამის ძალიან კარგი მაგალითია.

მახსენდება ახლო წარსულის მაგალითი, როდესაც პარიზის ტერაქტში დაღუპული ქალის ქმარი წერს, რომ ტერორისტები ვერ ელირსებიან მისი და მისი შვილის სიძულვილს და რომ ტერორისტები დამარცხდნენ ამგვარად.

იმედს ვიტოვებ, ოდესმე ისრაელი და ჩვენც ასე გავიმარჯვებთ. სიყვარულით გაზრდილი თაობა მე ამის იმედს მაძლევს.

კიდევ კვირი მუშაობა საჭირო ახალგაზრდა მშვიდობისმოყვარის თვლით

სალომი სახვაძე

ქუთაისის წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, პროექტის მონაწილე

2015 წლის ივლისში მონაწილეობა მივიღე ტრენინგში თემაზე „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ანალიზი, პოსტკონფლიქტური დარეგულირების გენდერული ასპექტები“.

უალრესად საინტერესო და მრავალფეროვანი ტრენინგი გრძელდებოდა 4 დღის განმავლობაში და სამუშაო დღე იყო ძალიან კომბინირებული: გვქონდა შესვენებები, ვერთობოდით, განვიხილავდით ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს და საზოგადოების ჩართვას კონფლიქტის დარეგულირების პროცესში. ვისაუბრეთ ლიდერობაზე და თითოეულმა ჩვენგანმა გამოთქვა თავისი აზრი იმის შესახებ, თუ რატომ იყო ლიდერი და რა თვისებები გააჩნდა მას საამისოდ.

მწვრთნელებმა დიდი ცოდნა და გამოცდილება გაგვიზიარეს თითოეულ ჩვენგანს. მნიშვნელოვანი იყო კონფლიქტის წარმოშობისა და შემდგომი განვითარების ეტაპების ცოდნა, ის უშუალო მაგალითები და სიმულაციური თამაშები, რომლებსაც ტრენინგის დროს ვთამაშობდით, საკითხის უკეთესად გასაცნობიერებლად და პრაქტიკაში გამოსაყენებლად. იყო შიდა დაპირისპირებებიც, რაც ამტკიცებს იმას, რომ ტრენინგს სხვადასხვა აზროვნების მონაწილეები ესწრებოდნენ.

ტრენინგებზე საჭირო იყო ჩვენი კრეატიულობის გამოვლენა, რათა შეგვექმნა სამყარო ყველანაირი კონფლიქტის გარეშე და შემდეგ მოგვეფიქრებინა, თუ როგორ, რა ხერხებით შეიძლება არსებული პრობლემის გადაჭრა. ჯგუფები, რომლებიც ტრენინგზე წარმოიქმნებოდა, სრულიად განსხვავებულ და რეალურ გეგმებს სახავდნენ მიზნის მისაღწევად. ყველა გუნდს ჰქონდა თავისი დამახასიათებელი სტილი და ხელწერა. ტრენინგმა მომცა გუნდური მუშაობის გამოცდილება.

დღემდე ძალიან კარგად მახსენდება ის დღეები, მაგრამ ეს მოგონება კიდევ უფრო გაამძაფრა იმ ფაქტმა, რომ 18 მონაწილიდან აღმოვჩნდი ერთ-ერთი, რომელიც აფხაზ და ისრაელელ კოლეგებთან შესახვედრად უნდა გამეზავრებულიყო ისრაელში და ეს ძალიან მოულოდნელი და სასიამოვნო იყო.

ნოემბერში გავემგზავრეთ ისრაელში,

მოლოდინებით და ახალი გარემოს ნახვის დიდი სურვილით. ეს მოგზაურობა მრავალმხრივ საპასუხისმგებლო იყო იმიტომ, რომ უნდა შევხვედროდით აფხაზ ქალბატონებს, ადგილობრივი ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ერთობლივი ძალებით მიგველო გადაწყვეტილებები ახალშექმნილი ინფორმაციისა და ცოდნის საფუძველზე. მოგზაურობა ძალიან სასიამოვნო და ნაყოფიერი გამოდგა. გარდა იმისა, რომ საშუალება გვქონდა, დავმტკბარიყავით ხმელთაშუა ზღვით, სანაპიროებითა და ქალაქით, გვქონდა საინტერესო და ინფორმაციით დატვირთული შეხვედრები. გაცილებით მეტი შევიტყვევეთ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის შესახებ და აშკარად დავინახეთ, რომ ორივე მხარეს აქვს თავისი სიმართლე. გავიგეთ სახელმწიფოში არსებული ურთიერთსაპირისპირო მოძრაობების და აზროვნების შესახებ და, მიუხედავად ამისა, სახელმწიფოში შეძლებისდაგვარად ჰარმონიული სიტუაციაა.

მოვისმინეთ ძალიან ბევრი მძიმე ამბავი, ახალგაზრდების დაღუპვის, ომის უბედურების შესახებ, რომელიც პირადი გამოცდილებიდან იყო მონათხრობი და ამან კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ მშვიდობის ფასი არაფერია.

რაც შეეხება მონაწილეებს, ჩვენ შორის მეგობრული კავშირი დამყარდა. არ გვქონდა გაუცხოების მომენტი, ერთმანეთს აზრებს ვუზიარებდით, ვმხიარულობდით და ერთად კარგ დროს ვატარებდით...

ჩემთვის ეს იყო უდიდესი გამოცდილება ქართულ-აფხაზური შეხვედრის და მოლაპარაკებების კუთხით და, რა თქმა უნდა, მოგზაურობის მხრივ. შესაძლოა, ამ შეხვედრებს მეყსეული შედეგი არ ჰქონდეს და კიდევ ბევრი მუშაობა დასჭირდეს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ, როგორც ისრაელის ქალთა ორგანიზაციის წევრები იღვნიან და არ ნებდებიან იმის მიუხედავად, რომ იციან, თავიანთ სიცოცხლეში შეიძლება შედეგი ვერ მიიღონ, ასევე არ უნდა დავნებდეთ ჩვენც...

„ქალთა მონაწილეობა ქვეყნის მოლაპარაკებებში: პრობლემები, წარმატებები, პერსპექტივები“

კვლევიდან - წიგნამდე

გურანდა გვანცელაძე

ფონდი „სოხუმის“ პროექტის ასისტენტი

პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი იყო კვლევა „ქალთა მონაწილეობა შენევის სამშვიდობო მოლაპარაკებებში“.

კვლევაში ჩართულნი იყვნენ სამოქალაქო სექტორის და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ კონფლიქტის გადაჭრის საკითხებთან.

ჩალრმავებული ინტერვიუ ჩატარდა შემდეგ რესპონდენტებთან:

ვახტანგ ყოლბაია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

ალუ გამახარია - არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასიის“ თავმჯდომარე

გიორგი ვოლსკი - საქართველოს პარლამენტის დეპუტატი

გურამ ოდიშარია - მწერალი, საზოგადო მოღვაწე

ელენე რუსეცკი - ქალთა საინფორმაციო ცენტრის დირექტორი

მანანა მებუკე - მოძრაობის „ქალები მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“ ლიდერი

ლიკა კილაძე - ქუთაისის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრის დირექტორი

ქეთევან ბაკრაძე - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ნანული რამიშვილი - არასამთავრობო ორგანიზაცია „განათლება და სამყაროს“ თავმჯდომარე

ლარისა შენგელია - დევნილი აფხაზეთიდან აგრეთვე ჩატარდა 1 ფოკუს-ჯგუფი არასამთავრობო ორგანიზაციების 8 წარმომადგენლის მონაწილეობით.

კვლევის ძირითადი მიზანია, კონფლიქტის სამშვიდობო მოგვარების პროცესში მეტი ქალის ჩართვის აუცილებლობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება და ხანგრძლივი და სამართლიანი მშვიდობის შენებაში ქალის მნიშვნელოვანი როლის გააზრება.



„საზოგადოება არ არის დაინტერესებული მოლაპარაკებების პროცესის თემით, რაც გამოწვეულია იმით, რომ არ არსებობს ხელშესახები შედეგები“.

კვლევაში დაისვა შემდეგი ამოცანები:

- შენევის პროცესის მიმდინარეობის, პროგრესისა და პრობლემების შესახებ საზოგადოებრივი აზრის შესწავლა;

- შენევის დისკუსიის და მასზე განხილული საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის გამოვლენა;

- მოლაპარაკების პროცესში ქალთა უფრო აქტიური ჩართვისა და მათი მონაწილეობის გაზრდის ეფექტური გზების შესახებ საზოგადოების დამოკიდებულების გაანალიზება;

- მოლაპარაკების პროცესში ქალთა როლის გაზრდის თაობაზე კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება და მოლაპარაკებაში ჩართული დელეგატებისთვის კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანების ყველაზე აქტიუალური საკითხების შეთავაზება განსახილველად.

კვლევის შედეგები შეკრებილია ერთიან დოკუმენტში. ამას გარდა შესწავლილ და დამუშავებულ იქნა შენევის ფორმატთან დაკავშირებული ყველა მასალა. ყოველივე ამის საფუძველზე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოიცა ბროშურა „ქალთა მონაწილეობა შენევის მოლაპარაკებებში: პრობლემები, წარმატებები, პერსპექტივები“.

ეს ნაშრომი საფუძვლად დაედება ოფიციალურ მოლაპარაკებებში ქალთა მონაწილეობის ადვოკატირებას და ხელს შეუწყობს კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების მწვავე პრობლემების მოგვარებას, რომლებიც აფერხებს მათი სრულფასოვანი და ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფას.

ნიგნის ავტორია ეკატერინე გამახარია. მისი საქმიანობის ძირითადი სფეროა ადამიანის უფლებები, მათ შორის იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები. მან მიიღო ჯონ სმიტის სტიპენდია დიდ ბრიტანეთში დემოკრატიული ინსტიტუტების კვლევისა და შესწავლისთვის, შემდეგ კი - ედმუნდ მასკის სტიპენდია ამერიკის უნივერსიტეტში ადამიანის საერთაშორისო უფლებების შესასწავლად. სწავლობდა ინდიანას უნივერსიტეტში (აშშ), სადაც მიიღო ადამიანის საერთაშორისო უფლებების მაგისტრის ხარისხი.

ეკატერინე გამახარია არის მრავალი ეროვნული და საერთაშორისო კონფერენციის და ტრენინგ-სემინარის მონაწილე ქალთა უფლებების, კონფლიქტის მოგვარების და მშვიდობის მშენებლობის საკითხებზე. არასამთავრობო ორგანიზაციების დამოუკიდებელი კონსულტანტი და მწვრთნელია, აგრეთვე - ანალიტიკური მოხსენებების, ნიგნებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების ავტორი.

ეს არ არის მხატვრული ლიტერატურა, მაგრამ არც მშრალი ანგარიშია.

ეს არ არის ნიგნი, რომელსაც - წაიკითხავ და სიამოვნებას მოგიტანს.

პირიქით - ავაფორიაქებს, პრობლემების მოგვარების გზებზე დაგაფიქრებს...

ეს კვლევის მასალებზე შექმნილი ნიგნია. მისი სათაურია „ქალთა მონაწილეობა შენევის მოლაპარაკებებში: პრობლემები, წარმატებები, პერსპექტივები“ - საზოგადოებრივი აზრის კვლევის ანალიზი ფონდი „სოხუმის“ (ქუთაისი) და აფხაზეთის ქალთა ასოციაციის (სოხუმი) ერთობლივი პროექტის ფარგლებში.

სათაურის მიხედვით თუ ვიფიქრებთ, ამ ნიგნის წაკითხვის სურვილი ძალიან ცოტას გაუჩნდება.

იმიტომ რომ ქალთა მონაწილეობაც ნაკლებად ადარდებს ვინმეს და შენევის მოლაპარაკებებზეც ცოტა რამ იცინა...

ნიგნში სწორედ ამაზეა -

რომ ძალიან ცოტა ქალია გადანწყვეტილების მიღების პროცესში.

რომ სამშვიდობო მოლაპარაკებებში ცოტა ქალი იღებს მონაწილეობას.

რომ შენევის მოლაპარაკებები სამშვიდობო მოლაპარაკებების მთავარი ოფიციალური პლატფორმაა და აუცილებელია მისი აქტიური ამოქმედება.

რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, მისგან მომდინარე პრობლემები, დაზარალებული ადამიანები - აბსტრაქტული ცნებები კი არა, ჩვენი ახლო წარსულია, ჩვენი დღევანდელია და ჩვენი სისხლისმიერი დები და ძმებია. ჩვენი შვილები.

ეს ჩვენ ვართ. და აუცილებელია ამ პრობლემების მოგვარება - ენგურის ხიდზე უკეთესი გადაადგილებისთვის, უკეთესი ჯანმრთელობისთვის, უკეთესი განათლებისთვის, სიმშვიდისთვის, უკეთესი ცხოვრებისთვის კონფლიქტურ ზონებში.

ამ პრობლემებს მოგვარება სჭირდება. ხვალ და შორეულ მომავალში კი არა, დღეს, ხვალ. აუცილებლად, საჩქაროდ.

„ქალთა ხმის გაძლიერება გადაწყვეტილების მიღების დონეზე“ მრგვალი მაგიდა ქუთაისში

სათუნა გოგუა

ფონდი „სოხუმის“ მწვრთნელი, პროექტის მონაწილე

29 იანვარს ქუთაისში, სასტუმრო „არგოში“ მრგვალი მაგიდა გაიმართა თემაზე „ქალთა ხმის გაძლიერება გადაწყვეტილების მიღების დონეზე“. შეხვედრას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, მერიის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ევროკავშირის წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

შეხვედრა გახსნა ფონდი „სოხუმის“ თავმჯდომარემ ალლა გამახარიაძემ, რომელმაც პროექტის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებზე და მიღებულ შედეგებზე ისაუბრა. შეხვედრაზე მთავარი საკითხი იყო ფონდი „სოხუმისა“ და აფხაზეთის ქალთა ასოციაციის ერთობლივი პროექტის ფარგლებში გამოცემული წიგნის „ქალთა მონაწილეობა აფხაზეთის მოლაპარაკებებში: პრობლემები, წარმატებები, პერსპექტივები“ პრეზენტაცია.

მომხსენებელმა ლალი შენგელიამ შეკრებილებს მოუთხრო, რატომ არის საინტერესო ალ-

ნიშნული გამოცემა, რა საკითხებს მოიცავს, რა გამოიკვეთა ორმხრივი კვლევების შედეგად:

„ეს არ არის მხატვრული ლიტერატურის ჟანრი, მაგრამ არც მშრალი ანგარიშია. ეს კვლევის მასალებზე შექმნილი წიგნია. მასში საუბარია იმაზე, რომ ძალიან ცოტა ქალია გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებებში ცოტა ქალი იღებს მონაწილეობს, რომ აფხაზეთის ფორმატი სამშვიდობო მოლაპარაკებების მთავარი ოფიციალური პლატფორმაა. მასზე უამრავი აქტუალური პრობლემა განიხილება და ამ პრობლემებს მოგვარება სჭირდება...“

შემდეგ შეკრებილებმა დიდი ინტერესით ნახეს დოკუმენტური ფილმი, რომელიც პროექტის ფარგლებში გადაიღეს ტელეკომპანია „რიონის“ ჟურნალისტებმა.

პრეზენტაციების შემდეგ დარბაზი დისკუსიაში ჩაერთო:



ირმა პეტრიაშვილი (ქუთაისის საკრებულოს წევრი): - ჩვენ ყველამ ერთად, კიდევ ერთხელ ისევ ვიგრძენით ის დიდი ტკივილი, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტმა დაგვიტოვა. სახალხო დიპლომატიის ფარგლებში გადადგმული ყოველი ნაბიჯი არის პატარა მარგალიტები, რომელთაც ქართულ-აფხაზური ურთიერთობა უნდა შემოაბრუნონ. პოზიტიური შედეგი შესაძლოა უცებ ვერ მივიღოთ, მაგრამ ეს მარცვლები აუცილებლად მოგვცემს ნაყოფს. ჩვენ ყველაფერი უნდა მოვსინჯოთ, ძალისხმევა არ უნდა დავიშუროთ, რომ ერთმანეთთან მისასვლელი გზები არ გადაიკეტოს. გვირობის ტოლფასია იმ ადამიანების ყოფა, რომლებიც ვალის ტერიტორიაზე ცხოვრობენ. კარგი იქნებოდა იქ მცხოვრები მოსწავლეებისთვის საზაფხულო ან ზამთრის ბანაკების ორგანიზება. მნიშვნელოვანი საქმეა იქ მცხოვრებ პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება.

იზო ხასაიამ (ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი) განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა აღნიშნულ ღონისძიებას. მისი აზრით, შენევის ფორმატი ერთადერთია, რომელიც დღემდე გრძელდება, მაგრამ ამ მოლაპარაკებების შესახებ სულ უფრო მწირი ინფორმაციაა. კიდევ უფრო სერიოზული პრობლემა ის არის, რომ ამ ფორმატში ქალები ნაკლებად მონაწილეობენ. მისი აზრით, საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია,

რა სახის საკითხები გადის მოლაპარაკებაზე და რა იცვლება ამ მიმართულებით.

ნუგზარ კობრიძემ (არასამთავრობო ორგანიზაცია „თაობათა დიალოგი“) აღნიშნა: „ნებისმიერი ინდივიდის მცდელობა, მოაგვაროს კონფლიქტი, მნიშვნელოვანია, რადგან კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ სახელმწიფოს კი არა, თითოეული მოქალაქის სტრატეგიაა. თუ ჩვენ ვსაუბრობთ კონფლიქტზე, უნდა ვიაზრებდეთ, რომ არსებობს მეორე მხარე, რომელსაც ჩვენგან განსხვავებული პოზიციები და ინტერესები აქვს. მეტი ინტელექტია საჭირო, როცა კონფლიქტებს ვეხებით, რადგან მხოლოდ ჩვენი მოსაზრება არ არის მთავარი, მნიშვნელოვანია, რას ფიქრობს ამის შესახებ მეორე მხარე.“

თავისი აზრი დააფიქსირა სანე ბიესმანსმა (ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ანგარიშებისა და ინფორმაციის უფროსი, ბელგიის ეროვნული კონტინგენტის მეთაური): „ჩვენ თვალყურს ვადევნებთ და მხარს ვუჭერთ ფონდი „სოხუმის“ საქმიანობას სამშვიდობო კუთხით. ის გამოცდილება, რომელიც ამ ორგანიზაციას გააჩნია, უნდა გამოვიყენოთ. საერთო წერტილები მხარეებს შორის ყოველთვის არსებობს და სწორედ აქედან შეიძლება თანამშრომლობის გაგრძელება.“

თითოეული გამომსვლელი აღნიშნავდა, რომ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს საშუალება, მეტად ჩაერთოს შენევის ფორმატის სამშვიდობო პროცესში.



ჩოქოჩ ვიდეო ფილმს ცელეუყრნადისცის ჩანაწერები

ეკა შალამგერიძე

ტელეკომპანია „რიონის“ ჟურნალისტი

24

შეკრების ადგილი - ფონდი „სოხუმი“.
გასვლის დრო - დილის ათი საათი.
გეზი - საზღვრისპირა სოფელი ხურჩა.
მიზანი - აქ მცხოვრებ თანამემამულეებთან შეხვედრა, მათი საჭიროებების გაცნობა, საყოფაცხოვრებო პირობებისა და პრობლემების ფირზე აღბეჭდვა და მათ შეულამაზებელ რეალობაზე დოკუმენტური ფილმის მომზადება.

სოფელ ხურჩამდე სოფელი კოკი მდებარეობს. ე.წ. საზღვარი აქ სულ რამდენიმე კილომეტრშია, შესაბამისად, აქაურებსაც ჰქონდათ ყველა ის ავბედითი განცდა, რაც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ქართულ ტკივილად შევიდა.

დანიშნულების ადგილამდე გადამღები ჯგუფის პირველი გაჩერება სოფელ კოკის საჯარო სკოლაა. შენობაში შესვლისთანავე იგრძნობა, რომ სასწავლო პროცესი აქ ყველა წესის დაცვით მიმდინარეობს. ეს განცდა პედაგოგებთან და მოსწავლეებთან საუბრის დროს კიდევ უფრო გამიმძაფრდა.

სკოლის დირექტორთან, დალილა ჩიქავასთან გასაუბრების შემდეგ იმასაც ვიგებთ, რომ სკოლაში 20 მოსწავლე აფხაზეთიდან, გალის რაიონის სოფელ ნაბაკევიდან ჰყავთ. სკოლა ნაბაკევიშიცაა, თუმცა ერთი არსებითი განსხვავებით - იქ ქართული ენა არ ისწავლება სათანადოდ.

ამ სკოლაში შევხვდი პედაგოგს, რომელიც ჩემი ჟურნალისტური საქმიანობის მანძილზე ერთ-ერთი გამორჩეულად დასამახსოვრებელი აღმოჩნდა. ქალბატონი ნანა კოკის საჯარო სკოლაში დანყებით კლასებში მათემატიკას ასწავლის. მისმა მონათხრობმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ის აფხაზეთის ტკივილის ცოცხალი მემკვიდრეა.

ორ ათეულ წელზე მეტხანს სოფელ ნაბაკევიში მუშაობდა პედაგოგად. კოკიდან წასულს, ე.წ. საზღვრის გადალახვა ყოველდღიური

რისკის და ფათერაკების პირობებში უხდებოდა. მდინარე ენგურზე ცივ ზამთარში ნავით გადასულს, სველი ტანსაცმლითაც არაერთხელ აუხსნია პატარა მონაფეებისთვის, რომ მათემატიკა ზუსტი მეცნიერებაა და ციფრებით ანგარიში სიზუსტეს მოითხოვს. საკუთარი ცხოვრებაც სწორად და ზუსტად გათვალა და, არჩევანის წინაშე მდგარმა, რა თქმა უნდა, ქართული მოქალაქეობა არჩია. მათემატიკური გამოთვლების სიზუსტესთან ერთად ისიც ზუსტად იცის და ცდილობს, ჩვენც დაგვარწმუნოს, რომ ქართულ-აფხაზურ პრობლემებში დღეს დომინანტი მხარე რუსეთია და საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად გვიყვება: „ადამიანური ურთიერთობები ქართველ და აფხაზ ხალხს შორის დღესაც აშკარად იგრძნობა. ერთხელ იქ, სკოლაში რალაც აღვნიშნეთ და აფხაზი მესაზღვრე დავპატიყეთ. მოვიდა და ძალიან ბევრი ტკბილეულიც მოიტანა. სუფრასთან ყველას გულწრფელად გვაერთინებდა სადღესასწაულო განწყობა. დღეს ასე არ არის, თუმცა დროსთან ერთად ყველა ადიდებული მდინარე კალაპოტში დგება და მჯერა, რომ დრო ჩვენი ქვეყნის მიმართულებით მშვიდ დინებას მოიტანს.“

ჩვენს ობიექტივში მოხვდნენ მოსწავლეები, რომლებიც რამდენიმე წელი აფხაზეთის სკოლაში სწავლობდნენ და კოკში ახალი მეგობრები შეიძინეს. კითხვაზე, რით განსხვავდება მათი ცხოვრება და სწავლა, ერთ-ერთი მოსწავლის პოზიცია ასეთია: „იქაური ბავშვები უფრო შეზღუდულები და დათრგუნულები არიან. აქ თავისუფლების, საკუთარი აზრის ღიად გამოხატვის ხარისხი გაცილებით მაღალია. დასვენებაზე, გაკვეთილების შემდეგაც ხშირად ვხუმრობთ, ვერთობით. იქ ეს ხალისი და ღიმილი გვაკლდა. იქ ძალიან ბევრი მეგობარი მყავს და მათთან დღემდე ვკონტაქტობ მხოლოდ მიმონერით. ჩვენც და ისინიც ვოცნებობთ, რომ ერთმანეთის სიახლოვე, ჩახუ-



ტება უპრობლემოდ შეგვეძლოს. ახალ თაობას გვჯერა, რომ ეს არა ძალმომრეობით, არამედ მშვიდობიანი დიალოგით მიიღწევა“.

ახალგაზრდა რესპონდენტმა საუბარი ლიმილით და პოზიტივით დაასრულა, რაზეც ფაქტობრივად მთელი თავისი ინტერვიუ ააგო.

სოფელი კოკი დავტოვეთ იმ თვალსაზრისით, რომ ჩანერული ინტერვიუები დოკუმენტური ფილმის მოსამზადებლად ნაყოფიერ მასალას წარმოადგენდა.

სოფელ კოკს ხურჩა ესაზღვრება. მდინარე ენგურს გადავდივართ. აქ ქართველი მესაზღვრეების საგუშაგოა. მსგავსი პრაქტიკა არ მაქვს, ამიტომ ცოტათი ვღელავ. უფრო სწორად, ინტერესი მიპყრობს, რა კითხვები ექნებათ. ოპერატორ ლადო ამოთიას კამერა მზადყოფნაში აქვს. არ გვინდა, საინტერესო მომენტები ფირზე აღუბეჭდავი დაგვრჩეს, თან ფრთხილად ვართ, არ ვიცით, ჩვენს აპარატურაზე როგორი რეაქცია ექნებათ. პირადობის მოწმობები აიღეს, ჩვენს მანქანაში შემოიხედეს და გაგვატარეს...

გზაში სულ უფრო მეტს ვფიქრობდი იმაზე, რამდენად საინტერესო, კრეატიული და მოვლენებით სავსეა ჩემი პროფესია. ეს დღე იყო ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულად ემოციური და საინტერესო იმ დღეებისგან, რომლებიც ისედაც არასოდეს გვანან ერთმანეთს. ჯერაც კიდევ შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი მათემატიკის პედაგოგისგან, რომელიც სოფელ კოკში გავიცანი და რომელიც

არა მარტო ზუსტი მეცნიერების, არამედ სწორი ცხოვრების მაგალითიც იყო ჩემთვის. განერილი გრაფიკი და ჩვენი დროის სიმცირე რომ არა, სიამოვნებით კიდევ ბევრს ვისაუბრებდი ქართულ-აფხაზურ ხიდნატეხილობასა და ურთიერთობის დათბობის მისეულ ხედვაზე.

მცირე მანძილის გავლის შემდეგ სოფელ ხურჩაშიც ჩავედით. ვიგრძენი, რომ ისედაც ემოციურად დატვირთულს „გაუმადლარი“ მაქსიმალისტის თვისება ჩამერთო და მსურდა, ჩემი დოკუმენტური ფილმისთვის, პროფესიული ჟარგონით რომ ვთქვა, აქაც „კარგი შავი მასალა“ დამხვედროდა. მოლოდინი გამართლდა, ადგილობრივებში რამდენიმე მათგანი გამორჩეულად საინტერესოდ მეჩვენა და დიდხანსაც შევეყვით საუბარს. პრობლემები აქაც უხვად დაგვხვდა - ჯანდაცვის თემაზე, განათლებაზე, თხილის რეალიზაციაზე, ყოველდღიურად ე.წ. საზღვრის იქეთ დარჩენილ პირუტყვზე, რაც ოჯახების ნაწილისთვის არსებობის ძირითად წყაროს წარმოადგენს, მავთულხლართების ორ მხარეს დარჩენილ სიძე-პატარძალზე, საბუთების გამო გახლეჩილ ოჯახებზე - თუმცა აგრესია არც ერთ მათგანში არ დამინახავს.

ისინი, გავლებული საზღვრის მიუხედავად, საქართველოს ორ ნაწილად არ ყოფენ და ჯიუტად სჯერათ, რომ ხელოვნურად გახლეჩილს დრო და გადაფასებული ურთიერთობები გაამთლიანებს.

ჩემი ღმერთი

ერთობლივი მუშაობის შედეგების შეჯამება

მერი ბელაშვილი

ფონდი „სოხუმის“ თავმჯდომარის მოადგილე, პროექტის კოორდინატორი

პარტნიორთა ერთობლივი შეხვედრა გაიმართა დუბაიში 2015 წლის 12-16 დეკემბერს. მასში მონაწილეობა მიიღო ფონდი „სოხუმისა“ და აფხაზეთის ქალთა ასოციაციის ექვს-ექვსმა წარმომადგენელმა.

შეხვედრის პროგრამა ითვალისწინებდა მიღებული შედეგებისა და რეკომენდაციების განხილვას.

ფონდი „სოხუმის“ თავმჯდომარემ ალლა გამახარიაშვილმა შეკრებილებს უამბო საპროექტო მოქმედებების შესრულების შესახებ, სოციოლოგიური კვლევის კითხვარის შემუშავების და იმ ტრენინგის შესახებ, რომლის მონაწილეებმაც შემდგომ ჩაატარეს კვლევა. კვლევის საფუძველზე კი გამოიცა ბროშურა „ქალთა მონაწილეობა შეხვედრის მოლაპარაკებებში: პრობლემები, წარმატებები, პერსპექტივები“.

მან შეხვედრის მონაწილეებს გააცნო სოციოლოგიური კვლევის შეფასების შედეგები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ექსპერტის შემუშავებულ რეკომენდაციებს.

განხილვის დროს აღინიშნა, რომ, მიუხედავად სხვადასხვა საზოგადოებაში ჩატარებული კვლევისა, შეინიშნება საერთო პრობლემები და რეკომენდაციები - შეხვედრის მოლაპარაკებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება დაბალია. ამის მიზეზი ისაა, რომ თვით მონაწილეები არ ცდილობენ ინფორმაციის მიწოდებას და საზოგადოების დაინტერესებას ამ თემით.

შეხვედრის მონაწილეები საუბრობდნენ პროექტის გაგრძელების აუცილებლობაზე, რათა გავლენა მოახდინონ მოლაპარაკების პროცესის მონაწილეებზე.

საჭიროა მეტი მუშაობა ქალთა როლის გააქტიურებისთვის კონფლიქტის საკითხებსა და შეხვედრის პროცესში.

ერთხმად იქნა მიღებული წინადადება: გავლენა იმაზე, რომ შეტანილ იქნას ცვლილებები შეხვედრის მოლაპარაკებებზე მონაწილეობის სტატუსში, ანუ - პარალელურად მოეწყოს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხვედრა (გენდერული ბალანსის დაცვით).

მეორე მხრივ - და ეს მეტად მნიშვნელოვანია - მომზადდეს სათანადო კონტინგენტი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს პარალელურ მოლაპარაკებებში.

ამას გარდა, ოფიციალური მოლაპარაკებების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ჩაატარონ საერთო შეხვედრა და განიხილონ მიღებული შედეგები. ეს არა მხოლოდ გააფართოებს წარმომადგენელთა წრეს, არამედ გაზრდის ხედვას პრობლემის მიმართ და შესაბამისად - რეაგირებას მასზე.

შედეგების შეჯამებისას, მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ შეხვედრა ნაყოფიერი იყო. მან დაანახა ორივე ორგანიზაციას წარმატებები და გამოწვევები, რომლებზე რეაგირება შემდგომი განვითარების საწინდარია.



გვ. ამ პრობლემებს მოგვარება სჭირდება.

19 ხვალ და შორეულ მომავალში კი არა, დღეს, ხვალ. აუცილებლად, სარქაროდ.

გვ. ჩვენ თვალყურს ვადევნებთ და მხარს

21 ვუჭერთ ფონდი „სოხუმის“ საქმიანობას სამშვიდლო კუთხით.

გვ. გზაში სულ უფრო მეტს ვფიქრობდი
23 იმაზე, რამდენად საინტერესო,
კრეატიული და მოვლენებით
სავსეა ჩემი პროფესია.

გვ. შეხვედრა ნაყოფიერი იყო. მან
24 დაანახა ორივე ორგანიზაციას
წარმატებები და გამოწვევები.

